# ხელშეკრულება №03/792/07
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
## (CPV79212000-აუდიტორული მომსახურება)

ქ. თბილისი 22 მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს „ანაკლია“** (შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **მიხეილ ჭავჭავაძის** სახით და მეორეს მხრივ **ი/მ მირიან მდივანი** (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) აუდიტორის სერთიფიკატი №5/423, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

**1.ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს შპს„ანაკლიის“ 2015 წლის (ყოველწლიური) საბუღალტრო ანგარიშგების შემოწმების თაობაზე აუდიტორული დასკვნა, (შემდგომში – მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3800 (სამი ათას რვაასი)** ლარს.

2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

3.3.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალნდარული დღის განმავლობაში

3.4. ანგარიშსწორება ხორციელდება შპს „ანაკლიას“ საკუთარი სახსრებით.

**4.მიღება–ჩაბარების წესი**

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება – ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლება მოსილ პირს წარმოადგენს შპს „ანაკლიას“ დირექტორი მიხეილ ჭავჭავაძე.

4.2. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**5.მომსახურების ადგილი და ვადა**

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 2016 წლის 31 მარტის ჩათვლით.

**6.მხარეთა უფლება–მოვალეობანი**

6.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2.შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს მომსახურების სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

**7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემდეგ მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადა გდაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%–ის ოდენობით იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

ელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული
შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**9.დაუძლეველი ძალა**
მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის
ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

**10.დავები და მათი გადაწყვეტის წესი**
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთეშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლოვბის შესაბამისად.

**11.ინტერესთა კონფლიქტი**
შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

**12.დამატებითი პირობები.**
12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ინახება: ერთი “შემსყიდველთან” და ერთი “შემსრულებელთან”.
12.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

**13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 1 მაისის ჩათვლით.**

**14. მხარეთა რეკვიზიტები**

**შემსყიდველი:**
**შპს „ანაკლია“**
ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. #12
ს/კ 404396293
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა№GE58BG0000000318986400

დირექტორი
მიხეილ ჭავჭავაძე

**მიმწოდებელი:**
ი/მ მირიან მდივანი
ქ. თბილისი, გოთუას #16, ბინა #109
ს/კ 01024004078
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა№ GE36BG0000000876769000

მირიან მდივანი